ბუღალტერთა მე-18 მსოფლიო კონგრესი მალაიზია – კუალალუმპური

ბუღალტერთა მე-18 მსოფლიო კონგრესს, რომელიც გაიხსნა 2010 წლის 8 ნოემბერს მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში, მსოფლიოს 134 ქვეყნიდან 6080 დელეგატი დაესწრო.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა და მალაიზიის ბუღალტერთა ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესი ჩატარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყანაში.

ოთხდღიან კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა კუალალუმპურის საკონფერენციო ცენტრში, მოხსენებით გამოვიდა 40 ქვეყნის 195 წარმომადგენელი, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, რომლებიც მსჯელობდნენ კონგრესის თემის ირგვლივ: „ბუღალტრების როლი კომპანიის მდგრადი ფასეულობების შექმნაში“.

ოთხ პლენარულ და 35 პარალელურად მიმდინარე სექციურ სხდომაზე მათ ისაუბრეს იმ პრობლემების მოგვარების კონკრეტულ გზებზე, რომელსაც აწყდება ესა თუ ის კონკრეტული დარგი.

სხვებთან ერთად, კონგრესზე მოხსენებით გამოვიდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- მსოფლიო ბანკი;
- საერთაშორისო გამჭვირვალობა (Transparency International);
- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი;
- ევროპის კომისია;
- აუდიტის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ორგანოების საერთაშორისო ფორუმი;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო.

კონგრესის გახსნის ცერემონიალაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რობერტ ბანთინგმა** აღნიშნა: „ეკონომიკის კრიზისულ სიტუაციებში გაცილებით მეტად იზრდება მოთხოვნა იმაზე, რომ ბუღალტრის პროფესიამ მოკლე ვადაში მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები და ასევე მოკლე ვადაში გაატაროს ისინი ცხოვრებაში. პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გაიცნობიეროს, რომ ჩვენი ვალია, მოვძებნოთ გზები და დავეხმაროთ იმ ორგანიზაციას სტაბილური მდგომარეობის მიღწევაში, რომელშიც ვმუშაობთ.“

სხვასთან ერთად, მან ხაზი გაუსვა ბუღალტრების მნიშვნელობას კერძო სექტორის განვითარებაში: „ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა, რომ კერძო სექტორში აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების არსებობა, რათა შემცირდეს ინვესტორების გადაწყვეტილებების რისკი, ეფექტურად განთავსდეს კაპიტალი ბაზრებზე, ხელი შეეწყოს გლობალური ეკონომიკის განვითარებას და მთელი მსოფლიოს მასშტაბით შენარჩუნებულ იქნეს ფინანსური სტაბილურობა“.

მალაიზიის ბუღალტერთა ინსტიტუტის პრეზიდენტმა აბდულ რაჰიმმა აღნიშნა, რომ ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესის მასპინძლობა მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის დარგისთვის, არამედ მთლიანად მალაიზიისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა კონგრესის გახსნის ცერემონიალზე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური ჯილდოთი დააჯილდოვა სამი პიროვნება. ჩინეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ვენგ ჯანი დაჯილდოვდა ბუღალტრის პროფესიის საერთაშორისო განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. კერძოდ, ის ხელმძღვანელობდა ჩინეთში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმას და მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა, ამოქმედდა და დაინერგა ჩინეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტები.

საპატიო სიგელით დაჯილდოვდა რობერტ მედნიკი, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის პროგრამის საკონსულტაციო ჯგუფის ყოფილი უფროსი. ასევე დაჯილდოვდა რენე რიკო მის მიერ პროფესიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, მათ შორის, მისი, როგორც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის თანამშრომლისა და საბჭოს წევრის როლისთვის.

კონგრესის ოთხდღიან სესიაზე დელეგატებმა იმსჯელეს, ძირითადად, შემდეგ თემებზე:

9 ნოემბერი, 1-ლი პლენარული სხდომა

1. ბუღალტრები – ფასეულობების შექმნა განუსაზღვრელი შესაძლებლობების ეკონომიკაში.

10 ნოემბერი, მე-2 პლენარული სხდომა

2. ისლამური ფინანსები – მსოფლიო ფინანსური ბაზრის გაძლიერება.

11 ნოემბერი, მე-3 პლენარული სხდომა

3. ბუღალტრული აღრიცხვა, სტაბილურობის საწინდარი: ფინანსური ანგარიშგების ინტეგრაციის პრობლემები.

11 ნოემბერი, მე-4 პლენარული სხდომა

4. მომავალი თაობის ბუღალტრები – ცვლილებებისა და მომავლის პერსპექტივების მიმოხილვა.

პარალელური სექციები

1-ლი სექცია

1. მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები: მსოფლიო კლასის მოთამაშეთა წარმოშობა.
2. პროფესიის გლობალური გამოკვლევა – ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წამყვანი როლი.
3. ადამიანის მართვა მართვის სტრუქტურის გულია.
4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კონვერგენცია – გზა მომავლისკენ.
5. კორპორაციული ანგარიშგებიდან ბიზნესის ანგარიშგებამდე – გზა მომავლისკენ.
6. ბუღალტრის პროფესიის გაძლიერება განვითარებად ქვეყნებში.
7. ბუღალტერი-ტექნიკოსი – კომპანიის სამშენებლო აგური.
8. მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.

მე-2 სექცია

1. მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა დაფინანსება გლობალურ ბაზარზე.
2. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების საბჭოს დღის წესრიგი.
3. საწარმოს მართვის საზღვრები – გვსურს კი ნავის გადაყირავება?
4. საზედამხედველო ორგანოები: საერთაშორისო გამოცდილება და გაკვეთილები.
5. კონვერგენცია: მარეგულირებელი ორგანოების პერსპექტივა.
6. ბრძოლა კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ – ბუღალტერთა მუდმივი თავსატეხი.
7. ბუღალტერთა ახალი თაობის ფორმირება.

მე-3 სექცია

1. მცირე და საშუალო ზომის ბუღალტერთა ფირმების შესაძლებლობების გაძლიერება: ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივა.
2. სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა: ვაგვარებთ პრობლემებს.
3. რისკის მართვა და შიდა კონტროლი – შესაბამისობის დანახარჯები გადაწონის მის სარგებელს?
4. აუდიტის ხარისხის არსი.
5. ხარისხიანი მმართველობითი ინფორმაცია გადაწყვეტილებების მისაღებად – საუკეთესო პრაქტიკა.
6. მმართველობითი ინფორმაციის მოქნილი ანგარიშგება – სიახლეები.
7. ანგარიშგება გარემოს დაცვის შესახებ – გავუფრთხილდეთ დედამიწას.

მე-4 სექცია

1. მიმოხილვისა და კომპილაციის მომსახურება 2011.
2. განათლების საერთაშორისო სტანდარტები – მომავლის კვალდაკვალ.
3. საერთაშორისო დონეზე ინტეგრირებული ბიზნესი – ბიზნესი საზღვრების გარეშე.
4. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესაბამისობის პროგრამა – როგორ მუშაობს ის?
5. რეალური ღირებულებით აღრიცხვა – პროფესიონალი შემფასებლები კორპორაციული ანგარიშგების პროცედურების ჯაჭვში.
6. კორპორაციული პასუხისმგებლობა – დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინის გამართლება;
7. მუსულმანური ფინანსების სტაბილურობა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში.

მე-5 სექცია

1. მცირე და საშუალო ზომის ბუღალტერთა ფირმების როლი, ორგანიზაციებისთვის დახმარების აღმოჩენაში საკონსულტაციო მომსახურების გზით.
2. ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭო – ეთიკის ახალი კოდექსის მიღება.
3. შარიატის პრინციპების გავლენა მუსულმანური ბანკების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებზე.
4. ეროვნული სტანდარტების დამდგენი ორგანოების ფუნქცია საერთაშორისო გარემოში.
5. სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზა: ელექტრონული გარემოს პრობლემები.
6. სტანდარტების დამდგენი ორგანოების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა.

მოკლე ისტორია და სტატისტიკა ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესების შესახებ

ბუღალტერთა 1-ლი მსოფლიო კონგრესი ჩატარდა 1904 წლის სექტემბერში, აშშ-ში, მისურიის შტატში, ქ. სენტ-ლუისში. კონგრესს ესწრებოდნენ დელეგატები აშშ-დან, კანადიდან (7 მონაწილე), დიდი ბრიტანეთიდან (2) და ნიდერლანდიიდან (1).

მე-2 კონგრესი ჩატარდა 1926 წლის ივლისში, ნიდერლანდიაში, ქ. ამსტერდამში. კონგრესზე წარმოდგენილი იყო ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, აშშ, კანადა, ლათინური ამერიკის ქვეყნები, ნიდერლანდია (სულ 350 მონაწილე).

მე-3 კონგრესი ჩატარდა 1929 წლის სექტემბერში, აშშ-ში, ქ. ნიუ-იორკში. კონგრესს ესწრებოდა 300-ზე მეტი დელეგატი.

მე-4 კონგრესი ჩატარდა 1933 წლის ივლისში, დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში. კონგრესს ესწრებოდა 22 ქვეყნის 169 წარმომადგენელი. კონგრესზე პირველად მიიღეს მონაწილეობა ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, აფრიკის ბუღალტრებმა. დიდი ბრიტანეთიდან წარმოდგენილი იყო 90 მონაწილე, რომლებიც იყვნენ ბუღალტერთა 49 ასოციაციის წევრები.

მე-5 კონგრესი ჩატარდა 1938 წელს, გერმანიაში, ქ. ბერლინში. კონგრესს ესწრებოდა 32 ქვეყნის 500 წარმომადგენელი. გერმანია წარმოდგენილი იყო 250 დელეგატით.

მე-6 კონგრესი ჩატარდა 1952 წლის ივნისში, დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში. კონგრესს ესწრებოდა 2500 მონაწილე, 30 ქვეყნიდან. დიდი ბრიტანეთი წარმოდგენილი იყო 1500 დელეგატით და ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებიდან წარმოდგენილი იყო კიდევ 700 კაცი.

მე-7 კონგრესი ჩატარდა 1957 წლის სექტემბერში, ნიდერლანდიაში, ქ. ამსტერდამში. კონგრესს ესწრებოდა 40 ქვეყნის 2850 მონაწილე (ბუღალტერთა 104 ორგანიზაცია). ნიდერლანდია წარმოდგენილი იყო 1200 დელეგატით. 1957 წელს ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კონგრესი ჩატარდებოდა ხუთ წელიწადში ერთხელ.

მე-8 კონგრესი ჩატარდა 1962 წლის სექტემბერში, აშშ-ში, ქ. ნიუ-იორკში. კონგრესს ესწრებოდა 48 ქვეყნის 3727 მონაწილე (38 პროფესიული გაერთიანება). აშშ წარმოდგენილი იყო 1627 დელეგატით.

მე-9 კონგრესი ჩატარდა 1967 წლის სექტემბერში, საფრანგეთში, ქ. პარიზში. კონგრესს ესწრებოდა 55 ქვეყნის 3850 მონაწილე (ბუღალტერთა 106 ორგანიზაცია).

მე-10 კონგრესი ჩატარდა 1972 წლის სექტემბერში, ავსტრალიაში, ქ. სიდნეიში. კონგრესში მონაწილეობდა 60 ქვეყნის 4500 დელეგატი.

მე-11 კონგრესი ჩატარდა 1977 წლის სექტემბერში, გერმანიაში, ქ. მიუნხენში. კონგრესს ესწრებოდა 6000 დელეგატი. მე-11 მსოფლიო კონგრესზე დაარსდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია. ორგანიზაცია თავიდანვე დაფუძნებული იყო ნიუ-იორკში.

მე-12 კონგრესი ჩატარდა 1982 წლის ოქტომბერში, მექსიკაში, ქ. მეხიკოში. კონგრესს ესწრებოდა 6000 დელეგატი.

მე-13 კონგრესი ჩატარდა 1987 წლის ოქტომბერში, იაპონიაში, ქ. ტოკიოში. კონგრესს ესწრებოდა 4800 დელეგატი.

მე-14 კონგრესი ჩატარდა 1992 წლის ოქტომბერში, აშშ-ში, ქ. ვაშინგტონში. კონგრესში მონაწილეობდა 5000-მდე დელეგატი 94 ქვეყნიდან.

მე-15 კონგრესი ჩატარდა 1997 წლის ოქტომბერში, საფრანგეთში, ქ. პარიზში. კონგრესს ესწრებოდა 6000-მდე დელეგატი მსოფლიოს 94 ქვეყნიდან (პირველად მონაწილეობდნენ რუსეთის წარმომადგენლები).

მე-16 კონგრესი ჩატარდა 2002 წლის ნოემბერში, ჩინეთში, ქ. ჰონგკონგში. კონგრესზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბუღალტერთა მსოფლიო კონგრესი ჩატარდებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ.

მე-17 კონგრესი ჩატარდა 2006 წლის ნოემბერში, თურქეთში, ქ. სტამბოლში. კონგრესს ესწრებოდა 5000-ზე მეტი წარმომადგენელი მსოფლიოს 112 ქვეყნიდან (პირველად მონაწილეობდნენ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წარმომადგენლები).

მე-18 კონგრესი ჩატარდა 2010 წლის ნოემბერში, მალაიზიაში, ქ. კუალალუმპურში. კონგრესს ესწრებოდა 6080 დელეგატი მსოფლიოს 134 ქვეყნიდან.

მე-18 კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 3 წარმომადგენელი: აღმასრულებელი დირექტორი ლავრენტი ჭუმბურიძე, განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე დათიაშვილი და ACCA-ის პროგრამის კოორდინატორი მარინა რევაზიშვილი.